# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მარკეტინგი

### შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი:
20 ივნისი, 2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მარკეტინგი |
| განათლების საფეხური | უმაღლესი განათლების პირველი საფეხური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში |
| სწავლების ენა | ინგლისური |

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახა ლი) | აკრედიტებული |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დოქტორი, პროფესორი ტატიანა ვოლკოვა<br>ბიზნესისა და ფინანსების საბაკალავრო სკოლა |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | პროფესორი ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ბ-ნი ირაკლი გაბრიაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მარკეტინგის ინგლისურენოვანი პროგრამა არსებობს 2010 წლიდან. მას შემდეგ პროგრამა შეიცვალა და საბოლოო ცვლილებები განხორციელდა 2017 წლის სექტემბერში. აღნიშნული ცვლილებების

მიზანს წარმოადგენდა ბიზნესის ადმინისტრირების უფრო ზოგად შინაარსზე გადასვლა მარკეტინგის სპეციალიზაციით (მეტი კონცენტრირება მარკეტინგზე). პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს. პროგრამაზე 58 სტუდენტი სწავლობს, ამჟამად 12 სუტდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული, ერთი კი გაცვლით პროგრამაშია.

§ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა ხუთშაბათს, 2018 წლის 19 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან - რექტორთან, პრორექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის კოორდინატორთან, ფაკულტეტის წევრებთან (4), მოწვეულ ლექტორებთან (4), სტუდენტებთან (8), კურსდამთავრებულებთან (7), დამსაქმებლებთან (2) და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან.

§ საგანმანათლებლო
პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- პირველი სტანდარტი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია;
- მეორე სტანდარტი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია;
- მესამე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;
- მეოთხე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;
- მეხუთე სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

§ რეკომენდაციები

1. პროგრამის მიზნის და ამოცანების ხელახლა განხილვა, რათა უზრუველყოფილ იქნეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და მარკეტინგის სპეციალისტების ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა.
2. სასწავლო პროგრამის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გადაკეთება, პროგრამის ძირითადი, მეორადი და თავისუფალი ან ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების გარშემო აწყობით, ან მთავარი და თავისუფალი კომპონენტების ირგვლივ აგებით ისე, რომ შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს;
3. პროგრამის შინაარსი უნდა მოერგოს სასწავლო დარგს ისე, რომ დარგის (მარკეტინგი) ყველა აუცილებელი კომპონენტი მოიცვას პროგრამამ და ამგვარად უზრუნველყოს იმ კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც აუცილებელია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ, მარკეტინგის სფეროში პროფესიონალური საქმიანობის შესასრულელბად.

4. პროგრამის გადაკეთება არჩევითი კურსების პროგრამის ძირითად კომპონენტთან
გადანაწილებით, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი ხარისხის პროგრამის სახელწოდებასთან შესაბამისობას. რამდენიმე სავალდებულო კურსის (შესავალი ტურიზმში - 4 კრედიტი, შესავალი ფინანსებში - 5 კრედიტი) შეცვლა არჩევითით, უფრო შესაბამისი იქნება მარკეტინგის პროგრამისთვის. სანაცვლოდ, არჩევითი კურსები: საზოგადოებრივი ურთიერთობები, კორპორაციული კომუნიკაციები, ინტეგრირებული მარკეტინგის კომუნიკაციები, ონლაინ მარკეტინგი, საერთაშორისო მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა და სოციალური მარკეტინგი, უნდა იქცეს პროგრამის სავალდებულო ნაწილად. ესგააუმჯობესებს მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხსა და სიღრმეს. პროგრამა საჭიროებს მარკეტინგის კურსებთან დაკავშირებულ მეტ კრედიტს.
5. სამომავლო დასაქმების უნარები უნდა გაძლიერდეს ამჟამინდელი სტუდენტებისთვის, რამდენადაც მარკეტინგის სფერო სწრაფად იცვლება.
6. პროგრამის სწავლის შედეგები, მისი კომპონენტები და სასწავლო კურსები უნდა მოერგოს უმაღლესი განათლების პირველი ციკლის კვალიფიკაციის დონეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.
7. სასწავლო პროგრამის განვიითარებაში დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეთა, მათ შორის კურსდამთავრებულთა, ჩართვის ოფიციალურად გაფორმება.
8. პროგრამის კომპონენტების დაშვების წინაპირობების განსაზღვრა.
9. რამდენიმე სავალდებულო კურსის (შესავალი ტურიზმში - 4 კრედიტი, შესავალი ფინანსებში - 5 კრედიტი) შეცვლა არჩევითით, უფრო შესაბამისი იქნება მარკეტინგის პროგრამისთვის. სანაცვლოდ, არჩევითი კურსები (საზოგადოებრივი ურთიერთობები, კორპორაციული კომუნიკაციები, ინტეგრირებული მარკეტინგის კომუნიკაციები, ონლაინ მარკეტინგი, საერთაშორისო მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა და სოციალური მარკეტინგი), უნდა იქცეს პროგრამის სავალდებულო ნაწილად. ესგააუმჯობესებს მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხსა და სიღრმეს. პროგრამა საჭიროებს მარკეტინგის კურსებთან დაკავშირებულ მეტ კრედიტს.
10. სასწავლო კურსის შეფასების მეთოდების კურსის სწავლის შედეგებთან გათანაბრება.
11. სასწავლო კურსის შეფასების მეთოდების კურსის სწავლის შედეგებთან გათანაბრების შესახებ აკადემიური პერსონალის ტრენინგი.
12. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების მეტი გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის, სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსის ფორმულირების გასაუმჯობესებლად, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის

შედეგებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

§ რჩევები პოგრამის განვითარებისთვის

1. სასწავლო კურსის შინაარსის აღწერილობაში საგნის უფრო ფართო თემების ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომის უზრუნველყოფას.
2. ვორქშოპების/სემინარების ორგანიზება იმ კომპეტენციათა სამომავლო როლის შესახებ, რომლებიც საჭიროა მარკეტინგის პროფესიონალებისთვის სამომავლო გამოწვევების დასაძლევად.
3. პროგრამის განვითარების საბჭოს შეხვედრები, რომელსაც თავმჯდომარეობენ სასწავლო სფეროში პროფესიონალი წარმომადგენლები, შეიძლება რეგულარულად (წელიწადში 2-ჯერ) ჩატარდეს, რათა განიხილონ პროგრამის განვითარება.
4. სტუდენტების ინფორმირება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ, რათა უკეთ აღიქვან საკუთარი სწავლის ხარვეზები და გაუმჯობესების მათი გამოსწორების გზები.
5. აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის უახლესი მეთოდების გაცნობასა და პერსონალის პედაგოგიური უნარების გაუმჯობესებას.
6. სასურველია რამდენიმე კურსის გაერთიანება და რამდენიმე მათგანის ამოღება. მაგალითად: სასურველია გაერთიანდეს ისეთი კურსები, როგორებიცაა ბიზნეს ადმინისტრირების შესავალი და მენეჯმენტის საფუძვლები; ბუღალტრული საქმის საფუძვლები და შესავალი ფინანსებში. ამგვარად შესაძლებელი გახდება მარკეტინგის დამატებითი სპეციფიური კურსების უზრუნველყოფა და პროგრამა გახდება მრავალფეროვანი.
7. მეტი საერთაშორისო ლექტორის მოწვევა მთლიანი კურსის ან კურსის ნაწილის წასაკითხად.
8. კურსდამთავრებულების ჩართვა სასწავლო პროგრამის გარკვეული ნაწილის მიწოდებაში.
9. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, შიდა და გარე დაინტერესებულ მხარესთან უფრო ფართო კომუნიკაცია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული მოთხოვნილებების და მიდგომების შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით.
10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის განვითარება ხარისხის უწყვეტი განვითარების უახლესი მიდგომების შესახებ სასარგებლო იქნება, რათა უზრუნველყოფილი იყოს IBSU-ს ყველა საქმიანობის მაღალი ხარისხი.

§ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>პროგრამის მიზანია ,,სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში".<br>პროგრამის მიზანი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. მარკეტინგის სასწავლო პროგრამის მიზანი, რაც სხვადასხვა სექტორისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას გულისხმობს, უნდა დაზუსტდეს იმის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, რომელიც ენიჭება სტუდენტს პროგრამის დამთავრების შემდეგ. უნდა დაზუსტდეს თუ რა იგულისხმება სხვადასხვა სექტორებში. საუბარია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე თუ სხვადასხვაობაში ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმა მოიაზრება. |

პროგრამა ასევე მიზნად ისახავს, სტუდენტებისთვის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მარკეტინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების მინიჭებას". მარკეტინგის პროგრამის შინაარსი ცოტა ხნის წინ მოერგო ზოგადი ბიზნეს ადმინისტრაციის პროგრამას მარკეტინგის სპეციალობით.
ამგვარად, პროგრამა ორმაგი ხასიათისაა და მიზნად ისახავს სპეციალისტების მომზადებას ორ სასწავლო დისციპლინაში - ბიზნესის მართვა და მარკეტინგი, რაც იწვევს დასახელებასა და შინაარს შორის შეუსაბამობას, ასევე შეუსაბამობას მისანიჭებელ ხარისხთან - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში.
პროგრამის მიზნები უფრო მეტად ორიენტირებული უნდა იყოს მარკეტინგის დისციპლინაზე პროგრამის დასახელების შესაბამისად და ამგვარად ემთხვეოდეს მისანიჭებელ ხარისხსა და პროგრამის სახელწოდებას.
პროგრამის ამოცანები შეიძლება იყოს მორგებული მარკეტინგის სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ მარკეტინგის, როგორც სწავლების კონკრეტულ სფეროში საქმიანობას ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამგვარად, მიზნები გახდება უფრო მიღწევადი და შესაბამისი შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან.
ზოგადად, პროგრამის მიზნები თანმიმდევრულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიასთან და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ მზარდ მოთხოვნებს მარკეტინგის პროფესიონალ სპეციალისტებზე. რამდენადაც, პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება ორ დისციპლინაში ( ერთდროულად ბიზნესის ადმინისტრირება და მარკეტინგი), იგი არის ორმაგი ხასიათის, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. შესაბამისად, პროგრამის მიზნების მიღწევა შეუძლებელია ამ პროგრამის ფარგლებში.
საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად არსებობს ბაკალავრის ხარისხი მარკეტინგში. ბაკალავრის ხარისხით მარკეტინგში კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გახდნენ მარკეტინგის მენეჯერები, ბაზრის კვლევის ანალიტიკოსები ან გაყიდვების მენეჯერები. თითოეული ეს თანამდებობა იძლევა გამომუშავების ძლიერ პოტენციალს, ასევე შესაძლებლობას, რომ პირმა გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი და ბიზნეს უნარები ყოველდღიურად (იხილეთ: https://study.com/articles/What_Can_You_Do_With_a_Bachelors_in_Marketing.html).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან

- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**
o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. პროგრამის მიზნის და ამოცანების ხელახლა განხილვა, რათა უზრუველყოფილ იქნეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და მარკეტინგის სპეციალისტების ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა ( არსებობის შემთხვევაში):**
o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ο საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ჩამოყალიბებულია ძალიან ბევრი სწავლის შედეგი ორივე: პროგრამის (35) და სასწავლო კურსის დონეზე. საერთაშორისო პრაქტიკა მერყეობს 6 მაქსიმუმ 10 სწავლის შედეგს შორის, რაც მიზნების ინტეგრირებული მიდგომით ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა და მათ უფრო მიღწევად, გაზომვად და ნათელს ხდის შიდა და გარე დაინტერესებულ პირებთან საკომუნიკაციო მიზნებისათვის. ამგვარი მიდგომა სასწავლო მიზნების ეფექტური ასახვის საშუალებაა.

პროგრამის დონეზე სწავლის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის, რაც მაგალითად მოითხოვს სასწავლო დარგის მაღალი ცოდნის დემონსტრირებას (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ქართულ ვერსიაში: საკითხის საფუძვლიანი ცოდნა ), მათ შორის, თეორიებისა და საფუძვლების კრიტიკულ ანალიზს; სწავლების სფეროს კომპლექსური საკითხების გაგება; დარგობრივი მეთოდების და პრობლემების გადაჭრისთვის საწირო კონკრეტული მეთოდების გამოყენების უნარი; წინასწარგანსაზღვრული მიმართულებებით, კვლევისა და პრაქტიკული პროექტის შესრულება; დარგობრივი მონაცემების შერჩევა და მათი ინტერპრეტირება, ასევე აბსტრაქტული მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტებისა და კონკრეტულად შერჩეული მეთოდების გამოყენებით, ჯანსაღი დასვკნების გამოტანის უნარი; იდეებზე, მიმდინარე პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ვერბალურად გადმოცემა სპეციალისტებთან და არა-სპეციალისტებთან, როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და ამომწურავად შეფასების უნარი; დამატებითი სწავლის საჭიროებათა დადგენის უნარი.

მარკეტინგის პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად, მაგალითად: " კურსდამთავრებულებს აქვთ ზოგადი ცონდა საბაზრო ეკონონომიკის საფუძვლებსა და დებულებებზე...., ზოგადი მენეჯმენტის ძირითად პრინციპებზე, მომხმარებელთა ქცევის შესწავლის მეთოდებსა და პრინციპებზე და ა.შ. რაც არ არის საკმარისი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად და არ არის დაკონკრეტებული სასწავლო დარგისთვის შესაბამის დონემდე.
შესაძლებელია პროგრამის სტრუქტურისა და კონტენტის გაუმჯობესებაც. მაგალითად, 23 კრედიტის ოდენობის არჩევითი კურსები მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც სწავლების მთავარი კომპონენტების ნაწილი უნდა იყოს. მაგალითად: ბიზნეს მარკეტინგი, საერთაშორისო მარკეტინგი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, პირდაპირი მარკეტინგი, ონლაინ მარკეტინგი.
სასწავლო კურსების შინაარსები ზედმეტად დეტალურად არის მოცემული, რაც ზღუდავს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, ისეთი თემების მიცემით, რომელთა სწავლაც უნდა მოხდეს კონკრეტული აკადემიური საათების ფარგლებში. მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგის კურსი მოიცავს 2 საათიან ლექციასა და 2 საათიან სემინარს (ჯამში 4 აკადემიური საათი), მასში შედის შემთხვევის შესწავლის დისკუსია მომხმარებელთა ანალიზის მიდგომებზე. ეს შესაძლოა არ იყოს საკმარისი კურსის ამგვარი არსებითი კომპონენტების შესასწავლად. კურსის სწავლების შედეგები არ არის ყურადღებით გაწერილი, მაგალითად სწავლების შედეგი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ "...სტუდენტები შეძლებენ ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების, საინვესტიციო შესაძლებლობებისა და პორტფოლიოს ეფექტურობის შეფასებას, შესაბამისი საინვესტიციო სტრატეგიების შერჩევას...", თუმცა სასწავლო კურსის შინაარსი არ არის აგებული აღნიშნული სწავლის შედეგების საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით.
კურსისთვის რეკომენდებული ლიტერატურა საჭიროებს გადახედვას. მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსის რამდენიმე თემისთვის რეკომენდებული ლიტერატურა 2009 წლით თარიღდება. რეკომენდებული უნდა იყოს უახლესი ლიტერატურა, რადგან მარკეტინგის სფერო სწრაფად ვითარდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- სასწავლო კურსების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. პროგრამის სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები უნდა მოერგოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის დონეს.
2. სასწავლო კურსის შინაარსის აღწერილობაში საგნის უფრო ფართო თემების ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომის უზრუნველყოფას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**
o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მარკეტინგის პროგრამის შინაარსი ცოტა ხნის წინ (გასულ შემოდგომას) მოერგო ზოგადი ბიზნეს ადმინისტრაციის პროგრამას მარკეტინგის სპეციალობით. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ძველ პროგრამას უფრო მეტი ძირეული კურსი ჰქონდა მარკეტინგში. პროგრამის შეცვლის შემდეგ, მარკეტინგის სფეროს ისეთი კურსები, როგორიცაა საზოგადოებრივი ურთიერთობები, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, ონლაინ მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა და სოციალური მარკეტინგი გარდაიქმნა არჩევით კურსებად. მეორეს მხრივ, შესავალი ფინანსებში და შესავალი ტურიზმში სავალდებულო საგნების სიას მიეკუთვნება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გაიცემა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მარკეტინგში. იგი შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ პირველი ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება შეიცავს ტერმინს "ბაკალავრი" მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის დაკონკრეტებით.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად, პროგრამის სტრუქტურა უნდა იყოს შემდეგნაირად ორგანიზებული: ,,...სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:

- ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა".

პროგრამა ორგანიზაბულია ძირითადი, დამატებითი და თავისუფალი კომპონენტების სტრუქტურის გარშემო და ნაწილობრივ აკმაყოფილებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. მოთხოვნის თანახმად, ძირითად სპეციალობაში, ამ შემთხვევაში, მარკეტინგში, საჭიროა სულ მცირე 120 კრედიტის აღება.

240 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

აკადემიური წერა - 5 კრედიტი

საინფორმაციო ტექნოლოგიები - 5 კრედიტი

უცხო ენა - 5 კრედიტი
ბიზნეს ადმინისტრირების ძირითადი კურსები - 75 კრედიტი
პრაქტიკული/საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი
მარკეტინგის სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი
მარკეტინგის არჩევითი კურსები -23 კრედიტი
დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კრედიტები - 65 კრედიტი.
ზემოთ-აღწერილი კრედიტთა სტრუქტურიდან არ ჩანს თუ რომელია სასწავლო პროგრამის ძირითადი, დამატებითი და თავისუფალი კომპონენტები.
პროგრამის სტრუქტურის უფრო ვრცელი აღწერის დროს ჩანს, რომ იგი ორგანიზებულია სავალდებულო და არჩევითი კურსების ირგვლივ, და არ არის ორგანიზებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების ირგვლივ (ძირითადი და თავისუფალი კომპონენტები და ა.შ.). 23 კრედიტის ოდენობის არჩევითი კურსები მოიცავს ისეთ საგნებს, რომლებიც ძირითად სასწავლო კომპონენტებს უნდა მიეკუთვნებოდეს, მაგალითად ბიზნესი ბიზნეს მარკეტინგი, საერთაშორისო მარკეტინგი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და სხვა.
ამგვარად, სასწავლო პროგრამის კომპონენტები არ არის გულმოდგინედ შემუშავებული იმისათვის, რომ უზრუნველყოს საგანმანათლებლო დონისთვის საჭირო კომპეტენციები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად და არც იმისთვის , რომ სტუდენტმა შეიძინოს მარკეტინგის სფეროს პროფესიონალის კომპეტენციები, სწრაფად ცვალებად გარემოში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**
o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. სასწავლო პროგრამის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გადაკეთება, პროგრამის ძირითადი, მეორადი და თავისუფალი ან ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების გარშემო აწყობით, ან მთავარი

და თავისუფალი კომპონენტების ირგვლივ აგებით ისე, რომ შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს;

2. პროგრამის შინაარსი უნდა მოერგოს სასწავლო დარგს ისე, რომ დარგის (მარკეტინგი) ყველა აუცილებელი კომპონენტი მოიცვას პროგრამამ და ამგვარად უზრუნველყოს იმ კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც აუცილებელია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ, მარკეტინგის სფეროში პროფესიონალური საქმიანობის შესასრულელბად.
3. პროგრამის გადაკეთება არჩევითი კურსების პროგრამის ძირითად კომპონენტთან
გადანაწილებით, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი ხარისხის პროგრამის სახელწოდებასთან შესაბამისობას. რამდენიმე სავალდებულო კურსის (შესავალი ტურიზმში - 4 კრედიტი, შესავალი ფინანსებში - 5 კრედიტი) შეცვლა არჩევითით, უფრო შესაბამისი იქნება მარკეტინგის პროგრამისთვის. სანაცვლოდ, არჩევითი კურსები: საზოგადოებრივი ურთიერთობები, კორპორაციული კომუნიკაციები, ინტეგრირებული მარკეტინგის კომუნიკაციები, ონლაინ მარკეტინგი, საერთაშორისო მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა და სოციალური მარკეტინგი, უნდა იქცეს პროგრამის სავალდებულო ნაწილად. ეს გააუმჯობესებს მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხსა და სიღრმეს. პროგრამა საჭიროებს მარკეტინგის კურსებთან დაკავშირებულ მეტ კრედიტს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა ( არსებობის შემთხვევაში):**
ο პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.4. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს მისი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდეგ დონეზე) და შრომის ბაზრებზე.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის სწავლა- განათლების მომდევნო დონეზე, იმდენად რამდენადაც კურსდამთავრებულთა 40 % სწავლას სამაგისტრო პროგრამის დონეზე აგრძელებს. კურსდამთავრებულები ამჟამად კონკურენტუნარიანი არიან დასაქმების ბაზარზე. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2017 წელს იყო 83%, 2016 -78%, 2015 - 94%, 2014- 93% და მათი კვალიფიკაციის მიხედვით 2017 წელს -83%, 2016 - 39%, 2015/ 72 % 2014 - 64%. მონაცემებიდან ჩანს, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმებაში, მათი კვალიფიკაციის მიხედვით, საკმაოდ დიდი დოზით არის არამდგრადობა. ამის მიზეზები უნდა შეისწავლოს უნივერსიტეტმა და დამატებით, მისცეს სტუდენტებს საჭირო ცოდნა და უნარები, რათა მათ შექმნან საკუთარი კომპანია, რადგანაც, გასაუბრების დროს, სტუდენტებმა გამოთქვეს საკუთარი კომპანიების დაარსების სურვილი.

სამომავლო დასაქმების უნარები უნდა გაძლიერდეს ამჟამინდელი სტუდენტებისთვის, რამდენადაც მარკეტინგის სფერო სწრაფად იცვლება. დამსაქმებლები აცხადებდნენ, რომ დასაქმების ბაზარზე მარკეტინგის სფეროს ისეთ პროფესიონალებზე არის მზარდი მოთხოვნა, რომლებსაც შეუძლიათ მარკეტინგის სფეროში უახლესი აზროვნებისა და ცოდნის გამოყენება ბაზრის კვლევისა და კომპანიაში მარკეტინგული საქმიანობის ფართო გაგებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუ
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. სამომავლო დასაქმების უნარები უნდა გაძლიერდეს ამჟამინდელი სტუდენტებისთვის, რამდენადაც მარკეტინგის სფერო სწრაფად იცვლება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. ვორქშოპების/სემინარების ორგანიზება იმ კომპეტენციათა სამომავლო როლის შესახებ, რომლებიც საჭიროა მარკეტინგის პროფესიონალებისთვის სამომავლო გამოწვევების დასაძლევად.

**საუკეთესო პრაქტიკა ( არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა,რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება, თუმცა, არ არის ფორმალიზებული და არ მიყავს კარგად განვითარებული პროგრამის ამოცანების, სწავლის შედეგების, პროგრამის კომპონენტის სტრუქტურის მიღწევამდე. სტუდენტები აწვდიან საკუთარ შეხედულებას პროგრამის შესახებ, აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს  პროგრამის განვითარებაში, მაგრამ ჯერ კიდევ შესაძლებელია ამ საქმიანობების გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროგრამის სწავლის შედეგების,  მისი კომპონენტების სტრუქტურის, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, ასევე დღევანდელი და სამომავლო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება და მარკეტინგის სპეციალისტების პროფესიული კომპეტენციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები მოწვეულ ლექტორებთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება დამსაქმებლებთან
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>1. სასწავლო პროგრამის განვითარებაში დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა, მათ შორის კურსდამთავრებულთა ჩართვის ოფიციალურად გაფორმება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>1. პროგრამის განვითარების საბჭოს შეხვედრები, რომელსაც თავმჯდომარეობენ სასწავლო სფეროში პროფესიონალი წარმომადგენლები, შეიძლება რეგულარულად (წელიწადში 2-ჯერ) ჩატარდეს, რათა განიხილონ პროგრამის განვითარება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა ( არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი**<br>**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. | | | X | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა. მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტები დაიშვებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სტუდენტების მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია ზოგადი განათლების მეორადი დონე. პროგრამაზე დასაშვებად უნივერსიტეტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური მოთხვნა განისაზღვრება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული 30+1 ქულით. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე, უნივერსიტეტისთვის სასურველია გადახედოს აღნიშნულ ზღვარს, რათა დარწმუნდეს, რომ მიღებულ სტუდენტებს აქვთ ინგლისური ენის ცოდნის სათანადო უნარები. ამასთან, უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსებით. ეს გათვლილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ენის ცოდნის გაუმჯობესებას. უნივერსიტეტი იღებს საერთაშორისო სტუდენტებსაც. მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს. პროგრამაზე ყოველწლიურად დაიშვება 15 სტუდენტი. მათი უმრავლესობა (7) პროგრამაზე აბარებს მათემატიკის გამოცდით. სხვები- მეოთხე |

საგნად აბარებენ ისტორიას (2 სტუდენტი 15-დან), გეოგრაფიას (2 სტუდენტი) და სამოქალაქო განათლება (4 სტუდენტი).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია
- ინტერვიუები პროფესორებთან
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოტხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ლექციები, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარები, დამოუკიდებელი სამუშაო - ესენია პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები. პროგრამის კომპონენტების ფარგლებში ამ მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლა/სწავლების მეთოდები ხორციელდება შემდეგი აქტივობებით: პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სითეზი, შემთხვევის შესწავლა, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის(ების) მიერ), ელექტრნული რესურსებიდან სწავლა, პრობლემის გადაწყვეტა, ჯგუფური სამუშაო, სახელმძღვანელოზე მუშაობა. ლექციები ინტერაქტიულია: ლექტორები სვამენ კითხვებს სტუდენტთა აღქმის შესაფასებლად. სტუდენტებს აქვთ კითხვების დასმის შესაძლებლობა. ისინი ჩართული არიან ჯგუფურ, კოოპერატიულ სამუშაოში. დავალებებისა და პროექტების შესრულება, წიგნსა და ინტერნეტ წყაროებზე მუშაობა მოითხოვს ინდივიდუალურ ან ჯგუფუ სამუშაოს.
უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, განაახლოს სწავლების უნარები რათა სწავლების შედეგების მიღწევა მოხდეს უფრო გამჭვირვალედ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის უახლესი მეთოდების გაცნობასა და პერსონალის პედაგოგიური უნარების გაუმჯობესებას.

**საუკეთესო პრაქტიკა ( არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

პროგრამის კომპონენტთა თანმიმდევრობა აღწერილია სასწავლო პროგრამაში. მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, კომპონენტთა თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას. ზოგიერთ სასწავლო კურსზე საჭიროა წინაპირობის შექმნა (მაგალითად სტატისტიკა: წინაპირობა უნდა იყოს მათემატიკა). კურსთა მიმდევრობა არ არის კარგად დაკავშირებული მარკეტინგის პროგრამის სწავლების შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუ

- ინტერვიუები მოწვეულ ლექტორებთან

**რეკომენდაციები:**
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. პროგრამის კომპონენტების დაშვების წინაპირობების განსაზღვრა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია რამდენიმე კურსის გაერთიანება და რამდენიმე მათგანის ამოღება. მაგალითად: ბიზნეს ადმინისტრირების შესავალი და მენეჯმენტის საფუძვლები; საბუღალტრო საქმის საფუძვლები და შესავალი ფინანსებში. ამგვარად შესაძლებელი გახდება მარკეტინგში დამატებითი, სპეციფიური კურსების უზრუნველყოფა და პროგრამა გახდება მრავალფეროვანი.

**საუკეთესო პრაქტიკა ( არსებობის შემთხვევაში):**
ο პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი**
**მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის კომპონენტებისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდები მიზნად ისახავს, კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
შეფასების სისტემა თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. მაგრამ, რამდენადაც სწავლის შედეგები არ არის სწორად ჩამოყალიბებული (იხილეთ პირველი სტანდარტი), რთულია იმის გათვალისწინება თუ რამდენად უზრუნველყოფენ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსის ფინალური გამოცდა ფასდება 40 ქულით, მათგან 9-10 ქულით ფასდება სტუდენტი, თუკი პასუხი არის სწორი, ტერმინოლოგია გამართული და თემა ამომწურავად გადმოცემული. სტუდენტი საკმარისად იცნობს ძირითად ლიტერატურას. შეფასების ასეთი აღწერა არ არის დაკავშირებული სწავლის შედეგებისათვის გამიზნული მიღწევების დონესთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

